N გ-3787
11/09/2019

3787-გ-2-201909111133

შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ ანდრია დვალს

ბატონო ანდრია,

შპს ,,საქართველოს მელიორაციამ“ (შემდგომში კომპანია) განიხილა თქვენი 2019 წლის 20 აგვისტოს #04/374 (კომპანიაში რეგისტრირებული #2520) წერილი, რომელიც ეხება ქვემო ქართლის რეგიონის სოფ. წინწყაროს მიმდებარედ მოსაწყობი მყარი ნარჩენების ნაგავსაყრელთან მისასვლელი გზით ირიგაციული დანიშნულების ლითონის მილების გადაკვეთას.

გაცნობებთ, რომ საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 2003 წლის ბრძანებით დამტკიცებული ,,სამელიორაციო სისტემების ნაგებობებისთვის მიწის ზოლების და ნაკვეთების მიჩენა-გასხვისების სამშენებლო ნორმების“ თანახმად, ირიგაციული დანიშნულების ლითონის მილსადენების გადაკვეთისას დაცული უნდა იქნეს, შემდეგი ტექნიკური პირობები:

- მილსადენის კიდედან ორივე მხარეს 2-2 მეტრის დაცილებით მოეწყოს რკინა-ბეტონის საყრდენები;
- რკინა-ბეტონის საყრდენებზე, მილსადენის ზედაპირიდან 1 მეტრის სიმაღლეზე, მოეწყოს ფოლადის შესაბამისი ზომის და რაოდენობის ორტესებრი კოჭებით გამაგრებული რკინა-ბეტონის კონსტრუქცია, რომლის სიგანე დააკმაყოფილებს მყარი ნარჩენების ნაგავსაყრელთან მისასვლელი მძიმე წონიანი მანქანების მოძრაობის პირობებს.

აუცილებელ პირობად მიგვაჩნია, აღნიშნულ სამუშაოების ჩატარებას ესწრებოდეს კომპანიის დაქვემდებარებაში მყოფი ალგეთი-ტბისი-კუმისის სერვის ცენტრის წარმომადგენელი.

პატივისცემით,

დავით წითლიძე

გენერალური დირექტორი